აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 38

01/10/2024 ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტის „ჩვენი გაერთიანებული საქართველო“ პარტიული სიის რეგისტრაციაში გატარების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 74-ე მუხლის მე-11 პუნქტის, „კანდიდატის პარტიული კუთვნილების შესახებ ინფორმაციის წარდგენის წესის განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 21 აგვისტოს №3 დადგენილების და საარჩევნო სუბიექტის „ჩვენი გაერთიანებული საქართველო“ თავმჯდომარის მიერ 2024 წლის 26 სექტემბერს წარმოდგენილი №56 (უსკოში რეგისტრაციის №01-26/110) განცხადების საფუძველზე, **ვადგენ:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს საარჩევნო სუბიექტის **„ჩვენი გაერთიანებული საქართველო“** პარტიული სია.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე